ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის

პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება:

ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა.

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

დაწყება: 01 მარტი, 2021წელი;

დამთავრება 31 დეკემბერი, 2021 წელი.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

15 (თხუთმეტი ათასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერია (ქალთა ოთახი)

6. პროგრამის აღწერა, მისი აქტუალობის დასაბუთება და სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა;

სამართლებრივი აქტები:

6.1. საქართველოს კონსტიტუცია.

6.2. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის მე-16 მუხლი.

6.3. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

6.4. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ CEDAW (სიდო კონვენცია).

6.5. **ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება**

(2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა **ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას**, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ხელისუფლებას ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მმართველობით რგოლში ქალთა როლის გაზრდას ავალდებულებს).

6.6. ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა.

აქტუალობის დასაბუთება:

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები როგორიცაა, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ. მზარდი ფაქტები და მონაცემები ადასტურებენ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების/წახალისების გარეშე შეუძლებელია.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გენდერული საკითხები გააქტიურებულია. დემოკრატიულმა პროცესებმა ქალთა ეკონომიკური აქტიურობის საკითხი დააყენა დღის წესრიგში, უდავოა რომ გედნდერული თანასწორობა დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან იგი დასაქმების, შემოსავლების ზრდისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების საფუძველია. ქვეყანაში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად საჭიროა დამატებითი აქტივობების განხორციელება, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ქალთა ჩართულობის გააქტიურება ეკონომიკურ პროცესებში ადგილობრივ დონეზე და ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები/გამოწვევები.

7. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება

პროექტი გულისხმობს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას ქალთა ეკონიმიკური გაძლიერების კუთხით.

მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან კონკურსის შედეგად გამარჯვებული თითოეული პროექტის დაფინასების მაქსიმალური თანხა შეადგენს 4 500 ლარს;

პროგრამა ითვალისწინებს გამარჯვებული პირის ფულად თანამონაწილეობას;

ფულადი თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმუმ 10 %-ს.

8. პროექტის მიზანი

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, რაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

პროგრამის გენერალური მიზანია: მუნიციპალურ დონეზე მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, მოსახლეობის შესაძლებლობებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც შემდგომში განაპირობებს ქალთა ეკონომიკურ და სოციალურ აქტიურობას, ეს იქნება სტიმული/წახალისება/მიმბაძველობა და მაგალითი სხვა ქალებისათვის, რათა უფრო გააქტიურდნენ და მიიღონ მონაწილეობა არა მარტო მუნიციპალიტეტის პროგრამებში, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებში.

პროგრამა მიზნად ისახავს:

ქალთა გაძლიერებას, ძლიერი მხარეების წახალისებასა და სუსტი მხარეების აღმოფხვრის ხელშეწყობას.

9. მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები

ქალების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერება და გააქტიურება;

მათი იდეების, მოსაზრებების განხილვა, განზოგადება;

მათი დაინტერესების ამაღლება;

მეტი ქალი ბიზნესში;

სოფლად დაწყებული მიგრაციის შეჩერების ხელშეწყობა;

ბიზნესმენ ქალთა წახალისების ღონისძიებების გატარება.

ძლიერი მხარეების წახალისებასა და სუსტი მხარეების აღმოფხვრის ხელშეწყობა.

10. პროგრამით მოსარგებლე პირები

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები ქალები და ქალთა საინიციატივო ჯგუფები.

11. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი დაფინანსების გაცემის წესი

პროგრამა საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებს არ საჭიროებს,

დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტისა და გამარჯვებულ პირ(ებ)ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. მოსარგებლეთა შერჩევის წესი

პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს სრულწლოვანი (18 წლიდან) ფიზიკური პირი - ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი. ფიზიკურ პირს მინიჭებული უნდა ჰქონდეს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

ბიზნეს იდეის შერჩევა შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილი სამუშაო კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით.